ჩიღვინაძე ალექს

ორი შიშველი მამაკაცი

სებასტიან ტიერი

(ადაპტაცია)

მოქმედი პირები:

არჩილ ფუტკარაძე, 40 წლის.
ეკატერინე ფუტკარაძე, მისი ცოლი, 40 წლის.
ნიკოლოზ მეგრელი, მისი თანაშემწე, 30 წლის.
გოგო, 20 წლის.

სცენა 1

ცუდად განათებული სასტუმრო ოთახი. გასაშლელ დივანზე ორი შიშველი კაცი წევს. ზეწარი აქვთ გადაფარებული. ერთ-ერთი იღვიძებს. თავს სწევს. ვერ გაუგია სად არის, რა ხდება გარშემო. ვერც იმას ამჩნევს, რომ მარტო არ არის

არჩილი: სად ვარ?

ხვდება, რომ საკუთარ სასტუმრო ოთახშია. საწოლთან მდგარ ლამპას ანთებს და გვერდით მძინარე კაცს აღმოაჩენს. შეშინებული შეჰყვირებს.

ააა!

საწოლიდან წამოხტება, ზეწარს იფარებს და რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს. კაცი ძილს აგრძელებს.

არჩილი: ეს ვინაა?

კარადასთან მიდის. აღებს და იქიდან სანადირო თოფს იღებს

არჩილი: ჰეი!

პაუზა.

შენ გეუბნები!

შიშველი კაცი რაღაცას გაურკვევლად ბურტყუნებს. არჩილი თოფის ლულით ეხება და ცდილობს გააღვიძოს.

არჩილი: ადე, ე!

კაცს ეღვიძება და არჩილისკენ ტრიალდება.

არჩილი: ნიკო?

ნიკო: რა იყო?

არჩილი: შენ ხარ?

ნიკო: (ისევ ძილ-ბურანში) რა ხდება?

არჩილი: აქ რას აკეთებ?

ნიკო: ბატონო არჩილ?

არჩილი: (თოფს უმიზნებს) რას აკეთებ ჩემს სახლში?

შიშველი და შეშინებული ნიკო დივანიდან დგება და უკან იხევს.

ნიკო: მშვიდად!

არჩილი: როგორ მოხვდი აქ?

ნიკო: ჩაწიეთ იარაღი!

არჩილი იარაღს დაუშვებს.

არჩილი: რა ჯანდაბას აკეთებ აქ?

ნიკო: აზრზე არ ვარ.

არჩილი: რას აკეთებ ჩემს სახლში?

ნიკო: ეს თქვენი სახლია?

არჩილი: არ იცი ხომ?

ნიკო: არა, საიდან.

არჩილი: რა საიდან? რატომ ხარ შიშველი?

ნიკო: ბატონო?

არჩილი: რატომ გაიხადე?

ნიკო: არ ვიცი. თქვენ?

პაუზა. არჩილი ნიკოს ათვალიერებს და შემდეგ ტელეფონისკენ მიდის. ნიკო პრიალა ჟურნალს იფარებს.

ნიკო: შეგიძლიათ მითხრათ, აქ რას ვაკეთებ?

ნიკო არჩილისკენ მიდის.

არჩილი: გაიწიე.

ისევ უმიზნებს თოფს.

ნიკო: ბატონო?

არჩილი: ბატონო კი არა უკან დაიხიე.

ნიკო: კი, ბატონო.

ნიკო რამდენიმე ნაბიჯით იხევს უკან.

არჩილი: კიდევ შორს. ირმის ქვეშ დადექი.

ნიკო: რა ირმის ქვეშ დავდგე?

არჩილი კედელზე დაკიდებულ ირმის თავის ფიტულზე მიანიშნებს.

არჩილი: ირმის თავის ქვეშ.

ნიკო იქ დგება სადაც უთხრეს. არჩილი იარაღს დაუშვებს, იღებს ყურმილს და კრეფს ნომერს. ელოდება. თან თვალს არ აშორებს ნიკოს.

არჩილი: ალო, პატრულია?

ნიკო არჩილისკენ მიდის.

ნიკო: პატრულში რეკავთ?

არჩილი ფიტულისკენ მიანიშნებს. ნიკო ბრუნდება.

არჩილი: სახლში შემომავარდნენ.
არა, შეიარაღებული არ არის.
დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ არ არის შეიარაღებული.
ძარცვა? კი. ნუ ყოველ შემთხვევაში აქ არის.
დიახ, სავარაუდოდ, ძარცვაა.
არჩილ ფუტკარაძე, ადვოკატი.
აბაშიძის 32, დიახ.
მეორე სართული. მარჯვენა კარია.
გმადლობ.

დებს ყურმილს. პაუზა. ერთმანეთს უყურებენ.

ნიკო: რა ჯანდაბა ხდება?

არჩილი: არ მომიახლოვდე!

ნიკო: არაფერი მესმის. მეც ისეთი დაბნეული ვარ, როგორიც თქვენ. თქვენზე მეტი არც მე ვიცი, ჯერ გავიგოთ რა მოხდა!

პაუზა.

პოლიციას რას ეტყვით? ჰა? რომ შიშველმა გაიღვიძეთ თანამშრომელთან ერთად? გგონიათ დაგიჯერებენ? არა, დაჯერებით კი დაგიჯერებენ, მაგრამ დაგვცინებენ და წავლენ.

პაუზა. არჩილი იარაღს დაუშვებს.

შემომხედეთ. არა, ვგავარ ახლა მე მძარცველს? ან რატომ გავიხდიდი თუ მართლა თქვენი გაქურდვა მინდოდა? სად არის ლოგიკა?

პაუზა.

ცუდი არაფერი გამიკეთებია.

პაუზა.

იფიქრებენ რომ....

არჩილი: რას იფიქრებენ?

ნიკო: რა უნდა იფიქრონ, ორ შიშველ კაცს რომ დაგვინახავენ? იფიქრეთ რეპუტაციაზე. და თქვენს რეპუტაციას რომ თავი რომ დავანებოთ, კლიენტებს დავკარგავთ.

არჩილი იარაღს კედელზე ააყუდებს და ყურმილს იღებს.

არჩილი: ალო, ცოტა ხნის წინ დავრეკე. არჩილ ფუტკარაძე. არა, არა, გააუქმეთ. აღარ არის ძარცვა. არა, არც ყოფილა. არა, კაცო ვინ მემუქრება. გავიხმურე რა. იმიტომ გავიხუმრე, რომ მინდოდა გამემხიარულებინეთ. არა, მძევალი არ ვარ. ვინ, ვინ და ადვოკატმა იცის როგორი დაძაბული სამსახური გაქვთ, ჰოდა, მეთქი გავამხიარულებ. არ გეცინებათ? არა? მანქანა უკვე გამოივდა? მიაბრუნეთ უკან. ხუმრობა იყო. ხუმრობა. ნუ ახლა გემოვნებაზე არ დაობენ. ბოდიში ბატონო. ნახვამდის.

დებს ყურმილს.

არჩილი: ახლა თქვი რას აკეთებ ჩემს სახლში.

ნიკო: არ ვიცი. მართლა. ვერ ვხვდები, არ მესმის.

არჩილი: როგორ შეიძლება რომ არ იცოდე?

ნიკო: აზრზე ვერ მოვდივარ.

არჩილი: ციდან ჩამოვცვივდით?

ნიკო: არა, ციდან როგორ ჩამოვცვივდებოდით.

არჩილი: ცხრის ნახევარია. რა დღეა დღეს?

ნიკო: არ ვიცი.

არჩილი: არ იცი რა დღეა?

ნიკო: არა, არაფერი არ მახსოვს.

არჩილი: ვა. ეს რა ჯადოა?

ნიკო: ჯადო?

არჩილი: აბა, რანაირად არ გვახსოვს არაფერი.

არჩილი კარადაში რაღაცას ეძებს. ქურთუკის ჯიბეში იქექება და იღებს ტელეფონს. ეკრანს უყურებს.

არჩილი: ა, ბატონო, პარასკევი, 7 აპრილი.

ნიკო: პარასკევი.

არჩილი: ე.ი. სადილის მერე ოფისში ვიყავით.

ნიკო: ეგრე გგონიათ?

არჩილი: მგონია? დარწმუნებული არ ავვარ, მაგრამ წესით… პარასკევს ვმუშაობ. რა შენ არ მუშაობ პარასკევს?

ნიკო: რა თქმა უნდა, ვმუშაობ.

არჩილი კარადასთან მიდის და იღებს თავის კეისს. ხსნის და იღებს თავის ყოველდღიური ჩანაწერებისთვის განკუთვნილ ბლოკნოტს და ამოწმებს.

არჩილი: მაშ, ასე, პარასკევი, 7 აპრილი... დილით ათ საათზე ვიყავი სავაჭრო პალატაში. მერე ლანჩზე. რის მერეც ოფისში მოვბრუნდი. 4 საათზე მქონდა შეხვედრა სადაზღვეოს საქმეზე.

ნიკო: მაგაე მეც ვმუშაობ.

არჩილი: ვიცი.

ნიკო: ე.ი. ოთხ საათზე ერთად ვიყავით ამ...

არჩილი: მერე ეს რას ამტკიცებს?

პაუზა.

არჩილი: აბა, დავფიქრდეთ... ვითომ რამეს გვიჩალიჩებენ?

ნიკო: მიზანი?

არჩილი: არ ვიცი. ფოტოს გადასაღებად? დასაშანტაჟებლად? მე რა ვიცი. ჩაგვიყარეს რამე? ნარკოტიკი რამე. რას გაუგებ მაგათ. ყველაფერზე არიან წამსვლელები.

პაუზა.

ნიკო: ესე იგი აქ არიან?

არჩილი: ვინ კაცო?

ნიკო: ვინც ჩაგვიყარა.

პაუზა.

არჩილი: არავინ არ არის.

პაუზა.

ნიკო: ბატონო არჩილ.

არჩილი: დიახ.

ნიკო: ანუ აქამდეც ყოფილა შემთხვევა რომ?

არჩილი: რა შემთხვევა?

ნიკო: ანუ... აქამდეც მოგიყვანიათ სახლში თანამშრომლები? ნუ ხომ ხვდებით?

არჩილი: ეს რა ინსინუაციიაა?

ნიკო: რა ინსინუაცია, ვცდილობ გავიგო რა მოხდა?

არჩილი: სერიოზულად ფიქრობ რო ესე სახლში დამყავს თანამშრომლები?

ნიკო: არა?

არჩილი: დამყავს და ვაშიშვლებ?

ნიკო: სხვა ახსნა მე არ მაქვს.

არჩილი: რას ბოდავ?

ნიკო: ის ფაქტიაა, რომ თქვენ მომიყვანდით აქ. მე თქვენი მისამართიც კი არ ვიცოდი.

არჩილი: შენ ხომ არ გააფრინე?

ოთახში ქალი შემოდის. ადგილზე შეშდება. არჩილს ზეწარი აქვს შემოხვეული. ნიკოს ჟურნალი აფარებული.

არჩილი: ვა, ეკა, დაბრუნდი?

პაუზა.

არჩილი: ეს ნიკოა. ჩემი თანამშრომელი. ადვოკატი.

ნიკო: საღამო მშვიდობისა, ქალბატონო.

პაუზა.

ეკა: ჩემს სახლში რას აკეთებთ?

ნიკო: როგორ გითხრათ აბა?

პაუზა. ეკა გაკვირვებული, უნდობლად უყურებს ნიკოს.

ნიკო: აი, ზუსტად ახლა ვლაპარაკობდით, რა შეიძლება დაგვმართვნოდა.

ეკა: რას ლაპარაკობთ?

არჩილი: ეკა, მოდი, დასვი კითხვა და ჩვენ გიპასუხებთ. მაინც რისი გაგება გინდა ზუსტად?

ეკა: აქ რას აკეთებთ?

არჩილი: აი, ხომ ხედავ. უკვე კონკრეტული შეკითხვაა. ხომ ხედავ, როცა მოინდომებ შეგიძლია.

პაუზა.

არჩილი: მე ხომ მაქვს უფლება რომ სამსახურის საქმე სახლში წამოვიღო. ნიკოც აქ არის იმიტომ... რომ... იმიტომ რომ საქმეზე სალაპარაკოდ მოვიდა. რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განგვეხილა, კონფიდიციალური.

ეკა: შიშვლებს?

არჩილი: მერე რა? რა არ შეიძლება? რა პრობლემაა? მთელი დღე კოსტუმებში დავდივართ. იცი როგორ ცხელა ოფისში? დღეს პარასკევია. საღამო. ვირებივით ვმუშაობდით მთელი კვირა და კვირის ბოლოს ხომ გვაქვს უფლება მოვდუნდეთ. არ გვაქვს? ირანშიც კი, ირანშიც, სრულიად პატიოსანი ქალებიც კი იხსნიან ჩადრს სახლში და შიშვლდებიან, შუა ირანში და ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება?

ეკა: და შიშვლები რას აკეთებდით?

არჩილი: ეგ შენ არ გეხება.

ეკა: როგორ თუ არ მეხება?

არჩილი: მე ვერევი შენს პროფესიულ ცხოვრებაში?

ეკა: რას გულისხმობ?

არჩილი: შენი პაციენტები არ დარბიან შიშვლები?

ეკა: ეგ რა შუაშია?

არჩილი: რა შუაშია? ნახევარ საათში ას ლარს რო გიხდიან, რა გგონია მსიამოვნებს? მაგრამ მე შენი მჯერა ხომ. მომითხოვია ოდესმე ახნა-განმარტება? ოსტეოპათი რატომ ხარ-თქო მითქვამს? არა, არასოდეს. ჰოდა, მეც არ ვარ ვალდებული რომ ჩემი მუშაობის მეთოდების გამო თავი ვიმართლო. თან მითუმეტეს ჩემი თანაშემწის თვალწინ. იმდენი საქმე გვაქვს თან, რომ თავის მოსაფხანად არ გვცალია. ბოდიში, ნიკო.

ნიკო: არა, როგორ გეკადრებათ.

ეკა: შენ მე სულელი გგონივარ?

არჩილი: არა სულელი რატომ მგონიხარ, რა ლაპარაკია.

პაუზა.

არჩილი: მართლა გაინტერესებს რატომ ვართ შიშვლები? შენთვის ეს ასეთი მნიშვნელოვანია?

ეკა: შენი აზრით?

არჩილი: ანუ არ შემიძლია, ვერ გეტყვი რატომ გავიხადეთ. ძალიან მინდა შენს შეკითხვაზე გიპასუხო, მაგრამ პასუხი არ მაქვს. უნდა შეეგუო იმას, რომ ყველაფერს ვერ გაიგებ. ყველაფერზე პასუხი არ გექნება. ნუთუ არ გესმის?

ეკა ქმარს თავალს არ აშორებს.

არჩილი: მართალი რომ გითხრა... ეს ნიკოს პირადული, ძალიან ინტიმური საკითხია. ხო, ნიკო?

პაუზა.

ნიკო: რა?

არჩილი: ანუ ეს რა ძაან პირადულია ხომ შენთვის. ეკა, ძალიან გთხოვ რომ პატივი სცე ამას. ნიკო, შენ არ ინერვიულო, შენი საიდუმლო დაცულია. მე სამარე ვარ.

ეკა ნიკოს უყურებს და მის პასუხს ელის. დაბნეული ნიკო ვერაფერს ამბობს.

არჩილი: ხომ იცი არა ეკა, რომ ყველა ადვოკატს აქვს საიდუმლო. ამას ქვია პროფესიული საიდუმლო.

ეკა: გეფიცებით, რომ ვერავინ გაიგებ.

ნიკო: კარგი.

ეკა: აბა, ვის უნდა ვუთხრა, ოსტეოპატი ვარ.

ნიკო: ვინ?

ეკა: ოსტეოპატი. გისმენთ.

ნიკო: კარგით, გეტყვით.

არჩილი: მიდი, მოყევი.

ნიკო: მიკროფონების გამოა ეს.

ეკა: რა მიკროფონების?

ნიკო: მოსასმენების. არჩილი დარწმუნებული იყო, რომ მე ტანზე მეკეთა... ჟუჩოკები რა. დღეს ოფისში ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე ვმუშაობდით, დიდ ფულზეა ლაპარაკი.

არჩილი: გიყვებოდი მე შენ.

ეკა: მერე?

ნიკო: მოკლედ ინფორმაცია ჟონავს. სამნი ვართ, ვინც ამ საქმეზე ვმუშაობთ. ერთ-ერთი ჩვენგანი იწერდა იმას, რასაც ვლაპარაკობდით. არჩილი დარწმუნებული იყო რომ ეს მე ვიყავი. ლანჩის მერე გვქონდა შეხვედრა. სადღაც შვიდზე მოვრჩით და არჩილმა მთხოვა სახლში გაგვეგრძელებინა ლაპარაკი. ჰოდა, გამიზიარა აქ თავისი ეჭვები. მე არ დავეთანხმე და მაშინ მთხოვა, რომ დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე.

პაუზა.

შეამოწმა მქონდა თუ არა რამე.

ეკა: და თვითონ რატომ გაშიშვლდა?

პაუზა.

ნიკო: რატომ?

ეკა: ჰო, თუ შენზე ეჭვობდა, თვითონ რატომღა გაშიშვლდა?

ნიკო: მართლაც... იმიტომ რომ...

არჩილი: ნიკო, ცუდად ხომ არ ხარ? რაღაც ფერი არ მომწონს შენი.

ნიკო: უკაცრავად, რა მკითხეთ?

ეკა: რატომ გაიხადა ჩემმა ქმარმა?

ნიკო: ნუ... მე რო ვიდექი სრულიად შიშველი. შემრცხვა, ისე დამცირებულად ვიგრძენი თავი. ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ესე დამცირებული. არჩილმა მომიბოდიშა და მეც მივიღე მისი ბოდიში, ოღონდ ერთი პირობით... რომ...

პაუზა.

ეკა: ანუ ამან გთხოვა რომ გაგეხადა?

არჩილი: კი, კი, ეგრე იყო ყველაფერი.

პაუზა. ეკა თოფს ამჩნევს.

ეკა: და თოფი რატომ გამოიღე?

არჩილი: რა?

ეკა: თოფი. თოფს რა უნდა აქ?

არჩილი: მე რა ვიცი თოფს რა უნდა აქ.

ეკა: აბა, ვინ იცის?

არჩილი: მარინამ გამოიღო ალბათ?

ეკა: ვინ?

არჩილი: დამლაგებელმა.

ეკა: ვიცი ვინც არის მარინა.

არჩილი: აბა, რაღას მეკითხები.

ეკა: მარინას თოფი რად უნდოდა?

პაუზა.

არჩილი: სელფებს იღებს ხოლმე.

ეკა: რა სელფებს იღებს?

არჩილი: თოფით. ცალ ხელში იატაკის საწმენდი ჯოხი უჭირავს, მეორეში თოფი.

ეკა: ძალიან უცნაურია რა.

არჩილი: რა არის უცნაური. ოდითგანვე ასე არ ვიყავით ქართველები?

ეკა: არ ჩაიცვამთ?

ნიკო: კი, კი, ახლავე.

ეკა: გავალ და ჩაიცვით.

არჩილი: ჰო.

ეკა გადის.

არჩილი: გენისოსი ხარ. საიდან მოიგონე ეს მიკროფონები. გენიოსი ხარ. არ გაფასებდი.

ნიკო: რა თამაშია წამოიწყეთ?

არჩილი: რა თამაში?

ნიკო: ხომ არ გგონიათ რომ აჯობებს სიმართლე ვთქვათ?

არჩილი: რომელი სიმართლე? რომელი? სად არის აქ სიმართლე? არაფერი რომ არ გვახსოვს, გგონია ამას დაიჯერებს?

ნიკო: ეგ თქვენი პრობლემაა. ჩემი საქმე არ არის.

არჩილი: რას ნიშნავს ჩემი პრობლემაა? დამცინი? სახლში შიშველი შემომივარდი... და შენი საქმე არაა?

პაუზა.

არჩილი: ჩაიცვი, დროზე.

ნიკო: ჰო, მაგრამ...

არჩილი: რა?

ნიკო: ჩემს ნივთებს ვერ ვპოულობ.

არჩილი: რა?

ნიკო: სად წაიღეთ ჩემი ტანსაცმელი?

არჩილი: შენი ტანსაცმელი მე რად მინდოდა? აქ ეყრება სადმე.

ეძებენ.

არჩილი: სად ჯანდაბაში შეჩურთე?

ნიკო: მე შევჩურთე?

არჩილი: აბა, მე? ჩემ რამეს მოგცემ.

ნიკო: კარგი.

არჩილი: ჩაიცვი და წადი.

არჩილი გადის. ამ დროს შემოდის ეკა ტანსაცმლით ხელში.

ეკა: ამას ეძებთ?

ნიკო: ეი, კი. უღრმესი მადლობა.

ნიკოს ტანსაცმელს უწვდის. ის სწრაფად იცვამს. ბრუნდება არჩილი ტანსაცმლით.

ეკა: ეგ რატომ მოიტანე?

არჩილი: რომ ჩავიცვა.

ეკა: ოთახში ვერ ჩაიცვამდი? აქ უნდა ჩაიცვა?

არჩილი: ჰო, მერე რა. შენ იცი რას ნიშნავს ამხელა ფირმის მართვა? ადამიანური რესურსის მართვა?

ეკა: რას? შიშვლად ტანტალს?

არჩილი: ჩვენ ერთად ვიხდით და ერთად ვიცვამთ! ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

კაცები იცვამენ. ეკა დივანთან მიდის და ბალიშებს ასწორებს. დივანზე პოულობს ნახმარ პრეზერვატივს. ხელში იღებს და ზიზღით შეჰყურებს.

ეკა: ეს რა არის?

პაუზა.

ეკა: ეს რა არის?

პაუზა.

ეკა: შეგიძლიათ მითხრათ, საიდან მოხვდა ეს პრეზერვატივი აქ?

არჩილი: ო, არა.

ეკა: და ამას ეძახი შენ „სახლში სამუშაოს წამოღებას“?

არჩილი: შეუძლებელია, ღმერთო. შეუძლებელია.

ნიკო ხმას არ იღებს. სახეს ხელებში ჩარგავს.

არჩილი: რა საშინელებაა.

ეკას პრეზერვატივი ისევ ხელში უჭირავს.

ეკა: არ მეტყვი ეს რას ნიშნავს?

არჩილი: არ შემიძლია ლაპარაკი. ამას მირჩევნოდა რომ მიწა გამოსკდომოდა

ეკა: აბა, თამამად, ბიჭუნებო... იქნებ ახლა მაინც მითხრათ რა მოხდა აქ?

არჩილი: ეს რა კოშმარია!

ეკა: არჩილ!

არჩილი: შოკში ვარ!

ეკა: დიდი ხანია ერთად ხართ?

არჩილი: რა ერთად ეკა... ეს შეუძლებელია!

ეკა: თქვენ რას იტყვით? იქნებ ახალი ვერსია გაქვთ?

ნიკო ხელებს ასავსავებს იმის ნიშნად რომ ლაპარაკი არ შეუძლია.

ეკა: (პრეზერვატივს გაუწვდის ნიკოს) თუ ეს რამე სპეციალური ჟუჩოკია? ჰა? ეს გქონდა დამაგრებული?

პაუზა. ეკა პრეზერვატივს პირველივე სკამზე დებს.

ეკა: (ყვირის) არჩილ! ეს რა ბორდელია?

არჩილი: არ ვიცი, ეკა, ვერაფერს ვხვდები. აზრზე ვერ მოვდივარ.

ეკა იღებს თოფს და უმიზნებს არჩილს.

ეკა: გეყოს! გესმის? რას აკეთებდი ამ ტიპთან?

არჩილი: ნახევარი საათის წინ გამეღვიძა.

ეკა: კაი კაცო.

არჩილი: და ნიკო უკვე აქ იყო. დივანზე, შიშველი. ვერაფერი გავიგე, შემეშინდა.

ეკა: შეგეშინდა ე.ი. საწყალო, შენ.

არჩილი: მოდი და არ შეგეშინდეს როცა გვერდზე უცხო შიშველი კაცი გიწევს.

ეკა: უცხო? აბა, თანამშრომელიაო?

არჩილი: თავიდან ზურგით იყო.

ეკა: აჰა, ე.ი. ზურგით იყო. გასაგებია.

არჩილი: რა არის გასაგები არ გადამრიო. ისე შემეშინდა... პოლიციაშიც კი დავრეკე.

ნიკო: მართალია, ქალბატონო ეკა.

ეკა: ხმა ჩაიგდე!

ქმარს ისევ უმიზნებს იარაღს.

არჩილი: გეფიცები. ნამდვილი სიგიჟეა! მესმის, რთული დასაჯერებელია რასაც გეუბნები, მაგრამ ჩვენც ეგრე ვართ ზუსტად.

პაუზა. ეკა იარაღს დაუშვებს. არჩილი მისკენ მიდის.

ეკა: არ მომეკარო!

არჩილი: მიყვარხარ!

ეკა: კოლეგა არ გიყვარს?

არჩილი: მაგრამ საყვარელო... მართალს გეუბნები.

ნიკო: მე წავალ.

ეკა: მიბრძანდით. ისიამოვნეთ.

ნიკო: არა, აბა რას ამბობთ?

ეკა: გეი ხარ?

ნიკო: არა, რას ამბობთ?

ეკა თოფს ჭერში ისვრის.

ეკა: გეყოფათ ტყუილები რა, გეყოფათ, თორემ....

ნიკო: გეი ვარ! გეი!

არჩილი: გეი ხარ?

ნიკო: რა თქმა უნდა. ვისაც მეტყვით ის ვიქნები.

ეკა: თუ ჰეტერო?

ნიკო: არ ვიცი. ძალიან დაბნეული ვარ.

ეკა: დაიბნა, საცოდავი კნუტი.

ნიკო: ჩვენ ორივე მსხვერპლი ვართ.

ეკა: მსხვერპლი კი არა პიდარასტები ხართ. აი, ვინ ხართ!

არჩილი: გეყოფა ეკატერინე! დადე ეგ თოფი და შეეცადე დაფიქრდე.

ეკა: რის შესახებ? არა, რის შესახებ დავფიქრდე? რაც მოვედი იტყუებით. ერთი ნორმალური რამე არ გითქვამთ.

არჩილი: სიტუაციაა არანორმალური და იმიტომ. უაზრო და აბსურუდული, როგორ გინდა აზრიანად ვილაპარაკო როცა აზრი არ არის?

პაუზა. ეკა იარაღს დებს.

ეკა: მოკლედ თუ სწორად გავიგე. თქვენ ერთმანეთის გვერდით გაიღვიძეთ შიშვლებმა და არ იცით რატომ?

არჩილი: ჰო, ამდენი ხანია მაგის თქმას ვცდილობ.

ეკა: ფანჯრიდან ხომ არ გადმოძვრა?

არჩილი: არ ვიცი.

ეკა: თუ საკვამურიდან? სანტა კლაუსი ხომ არ არის?

არჩილი: შენ ხუმრობ ახლა.

ეკა: რა მეხუმრება არჩილ? შენ მართლა გგონია რომ ამას დავიჯერებ?

არჩილი: გინდ დაიჯერე გინდა არა, გახსოვს რაღაც გადაცემა იყო.

ეკა: რა გადაცემა, ჭკუდან არ გადამიყვანო?

არჩილი: მზად ვარ ბიბლიაზე დავიფიცო.

პაუზა.

ეკა: რა გარყვნილებაა?

არჩილი: სად?

ეკა: შენ წარმოგიდგენია მაინც როგორ მატკინე?

არჩილი: ეკა, ყველაზე მეტად სამყაროში თუკი არ მინდა რამე, ეგ არის რომ შენ გატკინო...

ეკა: რაც გინდათ ის გიქნიათ. მაგრამ ქენით ეს სხვა ადგილას, არა ჩემს სახლში. და საკმარისია ეს ზღაპრები. აქ ჩემი ოჯახია! გესმის? გახსნებ, რომ ორი შვილი გვყავს.

არჩილი: არდადაგებზე არ არიან?

ეკა: ამიტომ მთელი შენი ოფისი უნდა გადატყნა?

არჩილი: რა ლაპარაკია ახლა.

ეკა: ისე მეცოდებიან ბავშვები. არა, ვინმემ რომ გაიგოს. არ იცი სად ვცხოვორობთ?

არჩილი: რა უნდა გაიგონ?

ეკა: შენ აღარ მიდიხარ? რას დამდგახარ აქ?

ნიკო: მივდივარ, აუცილებლად. ორშაბათამდე, ბატონო არჩილ.

არჩილი: კარგად, ნიკო.

ეკა: (ირონიულად) შეგიძლია აკოცო!

ნიკო მიდის.

ეკა: ღმერთო თურმე როგორ ატარებ დროს ოფისში. მე მგონია მუშაობ.

არჩილი: აბა, რა ვშვები?

ეკა: რა ვიცი.

არჩილი: არა, წარმოგიდგენივარ ახლა მე კაბინეტში?

ეკა: ძალიან კარგად.

არჩილი: გეყოფა, რა.

ეკა: მაგრამ ამდენი წელია ცოლ-ქმარი ვართ. ამდენი ხანია ერთად ვცხოვრობთ და როგორ ვერ გამჩნევდი?

არჩილი: რას ვერ მამჩნევდი?

ეკა: კარგი რა. ახლა ყველაფერი ცხადია.

არჩილი: რაა ცხადი?

ეკა: შენი ეს გადახრები.

არჩილი: კარგი თუ ღმერთი გწამს.

ეკა: ჟურნალები?

არჩილი: რა ჟურნალები?

ეკა: რასაც კითხულობ და ათვალიერებ ტუალეტში.

არჩილი: სპორტულ გაზეთს ვკითხულობ. „ლელო“ გეების გაზეთია?

ეკა: ნუ, ეს კაცები შორტები. დარბიან, ერთმანეთს ახტებიან, ეხუტებიან... აბა, რა არის?

არჩილი: სპორტია!

ეკა: კაი, სპორტია, კი. არჩილ, აღიარე ახლა, ნუ გრცხვენია!

არჩილი: კაი, გეი ვარ. აჰა, კმაყოფილი ხარ? ამის გაგება გინდოდა? სექსუალური უმცირესობა. მაგრამ ისე რომ იცოდე, უმცირესობას საქართველოშიც კი აქვთ ხმის უფლება!

ეკა: მიდი, მიდი, ამოთქვი, ამდენი წელია მალავდი თურმე.

არჩილი: მისმინე, ოპერას ვერ ვიტან, პუდელიც კი არ მყავს...

ეკა: მე რა უპუდელო პიდარასტი ხარ!

არჩილი: არ არსებობს.... სიგიჟეა რა...

ეკა: რამდენი ხანია სექსი არ გვქონია?

არჩილი: არ ვიცი.

ეკა: მე გეტყვი.

არჩილი: მიდი.

ეკა: აღარც კი მახსოვს ბოლოს როდის გვქონდა სექსი.

არჩილი: ყველა წყვილს რომელსაც ერთად ცხოვრების დიდი სტაჟი აქვს, იგივე პრობლემა აქვს. ნუ პრობლემას ვერც დაარქმევ ამას.

ეკა: საწოლშიც, ჩემს გვერდით კი არ წევხარ, მიიკუჭები მეორე ბოლოში, ხანდახან მეშინია არ გადავარდე საწოლიდან.

არჩილი: ზოგს საერთოდ სხვა ოთახებში ძინავთ.

ეკა: გინდა სხვადასხვა ოთახებში დავიძინოთ?

არჩილი: მე ეს არ მითქვამს. უბრალოდ გითხარი რომ ზოგი უარესად არის.

ეკა: ამაზე უარესად?

არჩილი: დიახ, ამაზე უარესად.

ეკა: რაღაც არა მგონია. ჩემი ბრალია რამე? აღარ მოგწონვარ?

არჩილი: როგორ არ მომწონხარ! რა სისულელეს ამბობ ახლა.

ეკა: ძუძუების გამო? ჩამომეწელა ხომ?

არჩილი: არა.

ეკა: როგორ არა. გეზიზღება?

არჩილი: რა ეკა?

ეკა: გგონია რომ დედაშენთან გძინავს?

არჩილი: დედაჩემს თავი დაანებე ძალიან გთხოვ!

ეკა: დედაშენს გაგონებ ხომ?

არჩილი: გეყოს.

ეკა ჩემოდანში ტანსაცმელს ყრის.

ეკა: მთელი ჩვენი ცხოვრება ყოფილა ტყუილი. მეჩვენებოდა რომ საიმედო, მყარი ოჯახი გვქონდა... მაგრამ არასოდეს შემიხედავს, თურმე ქვევით, ძირში, სულ ქვევით, ფუნდამეტი რა, ჭუჭყია თურმე, რა ამაზზრზენია ეს ყველაფერი. ჭაობში ვართ. წუმპეში. გრძნობ?

არჩილი: დაამთავრე?

ეკა: დიახ, ყველაფერი დამთავრდა.

ეკა ჩემოდანს იღებს და კარისკენ მიდის. კარში ნიკოს ეჯახება.

ეკა: ვა, დაბრუნდი?

ნიკო: მობილური დამრჩა.

ეკა: მობილური დაგრჩა? თუ ჩემს წასვლას ელოდებოდი?

ნიკო: სად მიბრძანდებით?

ეკა: მოილაპარაკეთ ხომ?

ნიკო: რაზე?

ეკა: მე სახლიდან წავიდოდი და თქვენ თავისუფლად მოაწყობთ აქ თქვენს ორგიებს. მაგრამ არსადაც არ წავალ. ვერ ეღირსები.

არჩილი: თავიდან არ დაიწყო. მაიძულებ ვაღიარო ის, რაც არც ჩამიდენია.

ეკა: უბრალოდ გიჭირს ამაზე ლაპარაკი.

არჩილი: კი, რა თქმა უნდა, არ გითხარი?

ეკა: შენ თუ გიჭირს აგერ შენს მეგობარს დაველაპარაკები.

არჩილი: არ არის მეგობარი.

პაუზა.

ეკა: მინდა, შენს თანამშრომელს ველაპარაკო. შეგიძლია რომ მარტო დაგვტოვო?

ნიკო: მე უბრალოდ მობილურის წასაღებად დავბრუნდი. ავიღებ და წავალ

ეკა: არჩილ, იქნებ გახვიდე.

არჩილი: რატო უნდა გავიდე?

ეკა: იმიტომ რომ მისი უფროსი ხარ.

არჩილი: მერე რა რომ მისი უფროსი ვარ.

ეკა: იმიტომ რომ თავისუფლად ვერ ილაპარაკებს.

არჩილი: როგორ ვერ ილაპარაკებს.

ეკა: მარტო უფრო გულწრფელი იქნება, ვიდრე შენი თანდასწრებით.

არჩილი: ნიკო ჩემი გერიდება?

ნიკო: არა.

არჩილი: ხედავ? არ რცხვენია.

ეკა: რისი უნდა მოერიდოს შიშვლებს გძინავთ ერთად. სხვა რამეს ვგულისხმობ.

არჩილი: რას?

ეკა: არჩილ, ძალიან გთხოვ, მარტო დაგვტოვე.

არჩილი: სად წავიდე?

ეკა: ოთახიდან გადი.

არჩილი: სასაცილოა, ჰკითხე რა გინდა?

ეკა: რატომ ნერვიულობ?

არჩილი: მე ვნერვიულობ? უბრალოდ უაზრობაა რა... ნიკო თქვი რამე.

ნიკო: მე რა უნდა ვთქვა. თქვენ გაარკვიეთ ერთმანეთში.

ეკა: არჩილ!

არჩილი: საძინებელში გავალ.

გადის.

ეკა: რამეს დალევ?

ნიკო: არა, გმადლობ.

ეკა: ერთი ჭიქა, რამე.

ნიკო: კარგით, წყალი იყოს.

ეკა სამზარეულოში გადის. შემდეგ სასტუმრო ოთახში დაბრუნებისას სწრაფად ხსნის საძინებლის კარს. კარს მიღა დგას არჩილი, რომელიც უსმენს მათ საუბარს.

ეკა: გვისმენ?

არჩილი: არა, უბრალოდ... კარს ჰქონდა რაღაც.

ეკა: რა?

არჩილი: კარგი რა ეკა.

ეკა: წამოდი.

არჩილი: სად მიგყავარ?

ეკა: არა, წამოდი.

არჩილი: მე კი წამოვალ, მაგრამ სად?

ეკა: ქუჩაში გაისეირნე.

არჩილი: არსადაც არ გავისეირნებ. სახლში ვრჩები.

ეკა: მაშინ აივანზე გადი.

არჩილი: მეხუმრები?

ეკა: არა.

არჩილი: აივანზე რა მინდა. მტრედი კი არ ვარ.

ეკა: გახვალ?

არჩილი: ვერ ვხვდები რაში გჭირდება...

ეკა: დროზე.

არჩილი გადის. ეკა წყალს იღებს და აწვდის ნიკოს.

ეკა: იცით, მე თქვენზე ნაწყენი არ ვარ. უბრალოდ მინდა რომ სიმართლე გავიგო.

ნიკო: ძალიან კარგად მესმის თქვენი.

ეკა: არაფრის თქმა არ გინდა?

ნიკო: როგორ არ მინდა, მაგრამ მართლა არ ვიცი რა ვთქვა.

ეკა: გაიძულა ჩემმა ქმარმა?

ნიკო: არა, არ ვიცით როგორ მოხდა. რაღაც ისე ჟღერს, ვიცი რთული დასაჯერებელია...

ეკა: ხომ მაგრამ რაიმე ახსნა ხომ უნდა არსებობდეს?

ნიკო: ალბათ არსებობობს კიდეც.

ეკა: შეიძლება რაღაც გკითხო?

ნიკო: რა თქმა უნდა.

ეკა: მარტო ცხოვრობ?

ნიკო: დიახ.

ეკა: არავინ მოგწონს?

ნიკო: არა.

ეკა: ბიჭუნები?

ნიკო: რა ბიჭუნები?

ეკა: ხომ ხვდები არა?

ნიკო: მომისმინეთ! აღარ ვაპირებ ამის მოსმენას.

ეკა: რატომ ნერვიულობთ?

ნიკო: არ ვნერვიულობ. მაგრამ ან გჯერათ და ან არა. თუ არ გჯერათ, წავალ. სად არის ჩემი მობილური? არ დაგინახავთ?

ეკა: და ჩემი ქმარი?

ნიკო: რა თქვენი ქმარი?

ეკა: ის მოგწონთ?

ნიკო: არა, არა!

ეკა: არ გიყვარს?

ნიკო: არა! ის ჩემი უფროსია.

ეკა: და რას გრძნობთ მის მიმართ?

ნიკო: რას უნდა ვგრძნობდე? წესიერად არც ვიცნობ. რამდენჯერმე ერთად ვიყავით სახინკლეში. ეს არის და ეს.

არჩილი კარზე აკაკუნებს.

ეკა: განაგრძეთ.

ნიკო: რაღა გავაგძელო? კარგი ადვოკატია, ძალიან კარგი.

ეკა: და ფიზიკურად გიზიდავს?

ნიკო: ღმერთო შენ დამიფარე.

ეკა: მამაო გყავს?

ნიკო: რა თქმა უნდა.

ეკა: ეგ კარგია.

ნიკო: რა არის კარგი?

ეკა: მე ოსტეოპატი ვარ.

ნიკო: ვინ?

ეკა: (მხარზე ხელს ადებს და უზელს) ოსტეოპატი.

ნიკო: მერე?

ეკა: ჩემი საქმეა, რომ ადამიანებს ტკივილი შევუმსუბუქო.

ეკა მოულოდნელად ხელს ამოუტრიალებს ნიკოს და ის იატაკზე ვარდება.

ნიკო: ვაი, დედა!

ეკა ფეხს ადგამს.

ეკა: რამდენი ხანია რაც ტყნაურობთ?

ნიკო: არ ვტყნაურობთ, არა.

ეკა: როდის დაიწყო-მეთქი?

ნიკო: გეყოფა, მომტყდა.

ეკა: ილაპარაკე თორემ მართლა მოგტეხავ!

ნიკო: დედას ვფიცავარ შენ ქმარს თუ ვტყნავდე!

ეკა ხელს უშვებს ნიკოს.

ნიკო: რა სიველურეა?

ეკა: უ, შე, პატარა კახპა!

ნიკო: ვერ ხართ ხომ?

ნიკო გარბის გარეთ. ეკა მიდის კარისკენ და უშვებს არჩილს.

არჩილი: ნიკო სად არის?

ეკა: გაიქცა.

არჩილი: რატომ?

ეკა: ქალებთან პრობლემები აქვს.

არჩილი: თვითონ გითხრა?

ეკა: რა შენ არ გაქვს? როდის მერე გიყვარს ბიჭუნები?

არჩილი: ქართული არ გესმის და რა ენაზე გითხრა?

ეკა: ეს ავადმყოფობა არ არის, შენ ხომ იცი?

არჩილი: რა?

ეკა: მერე რა რომ გეი ხარ? შუა საუკუნებში კი არ ვცხოვრობთ?

არჩილი: საქართველოში ვცხოვრობთ.

ეკა: ე.ი. სხვაგანა რომ ცხოვრობდე აღიარებდი?

არჩილი: რას ეკა?

ეკა: ცოცხლად არავინ დაგწვამს.

არჩილი: როგორ დამამშვიდე.

ეკა: მე მესმის შენი.

არჩილი: დიდი მადლობა. უკვე თავი მომაბეზრე.

ეკა: აღარე და დამშვიდდები. მიდი, გათავისუფლდი.

არჩილი: ღმერთო როგორ დავიღალე...

ეკა: როგორია აბა ამდენი ხანი მალავდე, მიდი, გააგრძელე.

არჩილი: დავიღალე.

ეკა: დაიღლებოდი, აბა, რა მოგივიდოდა.

არჩილი: ეკა!

პაუზა.

ეკა: რა ეკა? ნუ გრცხვენია. ოცდამეერთე საუკუნეა. დიდი კაცი ხარ. მიდი გააკეთე, ქამინგ-აუთი. მიდი! გაბედე! გოუ ბოი! გოუ!

არჩილი: მე არაფერს ვმალავ.

ეკა: არა?

არჩილი: არა.

ეკა: სად არის შენი ბლოკნოტი? ყოველდღიური?

არჩილი: რად გინდა?

ეკა: მაინტერესებს... იქნებ რაიმე საინტერესო ვნახო.

არჩილი: მაგაში მე ვერ ვნახულობ ვერაფერს საინტერესოს და შენ რას ნახავ.

ეკა: მანახე....

არჩილი: სამსახურეობრივი ჩანაწერებია. საქმეები, შეხვედრები... აჰა, გამომართვი.

ეკა ბლოკნოტს ფურცლავს.

ეკა: ე.ი. 22 მარტი... ვახშამი ლევან წულაძესთან.

არჩილი: ადვოკატია.

ეკა: პირველი აპრილი. სერგო ქალდანი. ვახშამი.

არჩილი: იურიდიული კომიტეტის წევრია პარლამეტში.

ეკა: კარგი... 8 აპრილი. შეხვედრა გურამ ფანჯიკიძესთან.

არჩილი: სისხლის სამართლის სპეცეციალისტია.

ეკა: მარტო კაცებს ხვდები?

არჩილი: იცი, ადვოკატები ძირითადად კაცები არიან. მარტო საქართველოში კი არა მთელს მსოფლიოში ასეა.

ეკა: რატო?

არჩილი: რა რატომ? მე რა ვიცი, ჩემი ბრალია ეს მაჩოიზმი რო ყვავის ჩემს პროფესიაში?

ეკა: მოიცა... აჰა, საინტერესო. 16 აპრილი. რას აკეთებდი თექვსმეტში?

არჩილი: რაღა მახსოვს სამი კვირის წინ იყო ეგ. გინდა რომ მახსოვდეს?

ეკა: ვახშამი... ნუკრი შენგელაიასთან.

არჩილი: (გაკვირვებული) ჰა? კი, შეიძლება.

ეკა: შენ ივახშმე ვინმე შენგელაიასთან?

არჩილი: ალბათ ვივახშმე მანდ თუ ეგრე წერია.

ეკა: სად?

არჩილი: მანდ არ წერია?

ეკა: კი, წერია... ძალიან გარკვევით წერია, რომ რესტორან „შავ ლომში“ იყავი.

არჩილი: კი ბატონო.

ეკა: 16-ში ჩემი ძმის დაბადების დღეა.

არჩილი: გელასი?

ეკა: სხვა ძმა მყავს?

არჩილი: მილოცვა დამავიწყდა?

ეკა: არა, საერთოდ არ მოსულხარ და იცი რატომ?

არჩილი: არა.

ეკა: იმიტომ რომ მითხარი ერევანში მივდივარ საქმეზეო.

არჩილი: შავი ლომი ერევანშიც არის?

ეკა: მეც მანდ ვარ. რატო მომატყუე?

არჩილი: არ ვიცი.

ეკა: ვინ არის ეს ნუკრი?

არჩილი: ნუკრი?

ეკა: ჰო.

არჩილი: იცი რა, არ მახოვს.

ეკა: ე.ი. არ იცი ვისთან ერთად ვახშმობ?

არჩილი: დაკითხვაზე ვარ?

ეკა: ვინ არის?

არჩილი: პირველ რიგში ნუკრი ქალია.

ეკა: ქალია?

არჩილი: კი, ჩემი საყვარელია. კმაყოფილი ხარ?

ეკა: ნუკრი კაცის სახელია.

არჩილი: ქალებსაც ქვიათ.

ეკა: ვინ არის?

არჩილი: ნუ როგორ გითხრა... ხომ გითხარი. საყვარელი.

ეკა: არა, საიდან გაჩნდა?

არჩილი: არ ვიცი... საიდან გაჩნდებოდა... საიდან ჩნდებიან საყვარლები. ისინი ჩნდებიან და ქრებიან. უკვალოდ. ეს არის საყვარლობის პრინციპი!

ეკა: და რა როლს ასრულებს შენს ცხოვრებაში?

არჩილი: რა როლს უნდა ასრულებდეს... არაფერი ორიგინალური, არაფერი.

ეკა: მაინც?

არჩილი: არაფერი. დილით დგება. დუშს იღებს. ძალიან სუფთაა. დაწკრიალებული აქვს ყველაფერი. ფეხებს, სახეს... ქვემოთ... აფრენს ბანაობაზე. უფლება რომ მისცე არ გამოვა აბაზანიდან. იხეხავს კბილებს. მერე იმშრალებს. პირსახოცით. მერე რომ გაიმშრალებს სასეირნოდ მიდის. მაღაზიებში. ძაღლს ასეირნებს. შემდეგ... ისვენებს... ტელევიზორს უყურებს... მერე ქმარი მოდის. როცა ქმარი დაკავებულია, ღალატობს.

ეკა: ქმარი ჰყავს?

არჩილი: ჰო.

ეკა: რა ქვია მის ქმარს?

არჩილი: ნიკუშა.

ეკა: ვინ ნიკუშა?

არჩილი: არ ვიცი, რა, არ მკიდია რა ქვია მის ქმარს? არც მიკითხავს.

პაუზა.

არჩილი: აბა, დარწმუნდი? კმაყოფილი ხარ?

ეკა: ერთი სიტყვისაც არ მჯერა. დარწმუნებული ვარ რომ ეს ნუკრი კაცია.

პაუზა.

ეკა: გიყვარს?

არჩილი: ყელში ამოვიდა.

ეკა: ჰო თუ არა?

არჩილი: არა, არა!

ეკა: მხოლოდ სექსი?

არჩილი: გამოიცანი!

ეკა: ნიკომ იცის?

არჩილი: ნიკოს საერთოდ ვინ ტყნავს?

ეკა: არ ეჭვიანობს?

არჩილი: მე რა ვიცი, ვერ ჰკითხე? ხომ დარჩით მარტო.

ეკა: მე შენს მხარეს ვარ, იმ შემთხვევაშიც თუ...

არჩილი: ახლა მისმინე... თუ მართლა გეი ვარ და გიმალავდი ამდენი წელი, რატომ მოვიყვანდი სახლში ვინმეს. მიპასუხე.

ეკა: არ ვიცი.

არჩილი: სად არის ლოგიკა?

ეკა: უბრალოდ გული გინდა რომ მატკინო.

არჩილი: რატომ სადისტი ვარ? არ მიცნობ? ამდენი ხანია ერთად ვართ. ყველაზე მეტად მიყვარხარ სამყაროში. რატომ უნდა გატკინო რატომ?

ეკა: იტყუები!

არჩილი: შვილებს გეფიცები თუ ვიტყუებოდე.

ეკა: გეისთან ვიცხოვრებ, მაგრამ მატყუარასთან ვერა.

ეკა გადის.

ბნელდება.

სცენა 2

კარზე ზარია. არჩილი კარს აღებს. შემოდის ძალიან ლამაზი და სექსუალური გოგო.

არჩილი: საღამო მშვიდობისა.

გოგო: საღამო მშვიდობისა.

არჩილი: მობრძანდით.

გოგო პლაშჩს იხდის. გამომწვევად აცვია.

არჩილი: დაბრძანდით.

გოგო ჯდება დივანზე.

არჩილი: გადაგიხადოთ ხომ?

გოგო: დიახ. თუ შეიძლება.

არჩილი იღებს რამდენიმე კუპიურას და უწვდის მას.

არჩილი: ინებეთ.

გოგო: მადლობა.

გოგო ფულს ჩანთაში იდებს. არჩილი თვალს არ აშორებს.

გოგო: რა იყო?

არჩილი: არა, არაფერი.

გოგო: ნერვიულობთ?

არჩილი: ცოტას, ცოტას ვნერვიულობ... დიდი გამოცდილება არ მაქვს და…

გოგო: პირველია?

არჩილი: რაა პირველი? ქალთან პირველად?

გოგო: არა, ესკორტით გისარგებლიათ აქამდე? გამოგიძახებიათ?

არჩილი: არა, ეგ ნამდვილად პირველადაა.

გოგო: მოდუნდი. ყველაფერი კარგად იქნება. მე აქ იმიტომ ვარ, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

არჩილი: ძალიან კარგი.

გოგო: გავიდეთ საძინებელში?

არჩილი: არა, მირჩევნია თუ აქ დავრჩებით.

გოგო: რა პრობლემაა... გავიხადო?

არჩილი: არ არის ცუდი იდეა.

ახალგაზრდა გოგო იხდის ჟაკეტს და დივანზე გადაფენს.

არჩილი: მომე, დავდებ.

გოგო: იყოს. გინდა მუსიკაზე გავიხადო?

არჩილი იღებს ფეხსაცმელს და ერთს დივანთან დებს, ხოლო მეორეს შემოსასვლელთან. გოგო გაკვირვებული უყურებს.

გოგო: რას აკეთებთ?

არჩილი: ისე... ასე მიყვარს მე. არეულობა მიყვარს ოთახში.

გოგო კაბასაც იხდის. არჩილი იატაკზე აგდებს კაბას. გოგო ლიფის გახსნას აპირებს.

არჩილი: არა, ლიფი დაიტოვეთ!

გოგო: კარგი!

არჩილი: ჩემი ცოლი ისედაც დაკომპლექსებულია მკერდის გამო.

გოგო: თქვენი ცოლი?

არჩილი: არ მინდა ტრავმა მივაყენო.

გოგო: მოიცადეთ, თქვენი ცოლი შემოგვიერთდება?

არჩილი: კი, ძალიან მალე...

გოგო: ერთ წუთი? თქვენ გინდათ ეს სამში?

არჩილი: არა, რას ამბობთ... უბრალოდ მინდა რომ მოულოდნელად თავზე წაგვადგეს.

გოგო: ვერ გავიგე? თქვენი ცოლი მოვა...

არჩილი: ჰო, ალბათ.

გოგო: მაშინ წავალ მე...

არჩილი: არა, არა, ძალიან გთხოვ, დარჩი.

გოგო: არ მეტყვით რა გინდათ?

არჩილი: რთული ასახსნელია... უბრალოდ მინდა რომ ჩემმა ცოლმა წამასწროს საყვარელთან. გესმით?

გოგო: საყვარელთან?

არჩილი: კი.

გოგო: რატომ?

არჩილი: მინდა დარწმუნდეს რომ საყვარელი მყავს. თორემ არ მიჯერებს. ეს იქნება მტკიცებულება.

გოგო: რა მტკიცებულება?

არჩილი: რომ საყვარელი მყავს. ვეტყვი, რომ თქვენ ხართ ნუკრი შენგელაია, ჩემი საყვარელი.

გოგო: ფულს უკან დაგიბრუნებთ.

არჩილი: არა, არა, გთხოვთ, ნუ ნერვიულობთ. ყველაფერი კარგად ჩაივლის. ჩემი ცოლი მალე მოვა.

არჩილი საათზე იხედება.

არჩილი: როგორც წესი არ იგვიანებს. ცოტა ხანი დავუცადოთ. როცა მოვა... თქვენ ჩაიცვამთ და წახვალთ.

გოგო: სხვა არაფერი?

არჩილი: არა, მეტი არაფერი. ხომ ხედავთ სულ არ არის ძნელი.

გოგო: ჩემთან არ დაწოლა არ გინდა?

არჩილი: არა, როგორ არ მინდა... პერსპექტივაში... როდესმე... მაგრამ არა ახლა.

გოგო: და რას იტყვის თქვენი ცოლი?

არჩილი: დაგინახავს, მოიწყენს, მერე მაპატიებს. რას ამბობენ ქალები როცა იგებენ რომ ქმრებს საყვარელი ჰყავს?

გოგო: არ ვიცი.

არჩილი: აი, მე ვიცი. მოხარშულს ვიცნობ ჩემს ცოლს.

გოგო: რამეს მკითხავს?

არჩილი: არა, რატომ? რომ გკითხოთ რა, უთხარით რომ ნუკრი შენგელაია ხართ და შემდეგ წახვალთ.

გოგო: არა, მე წავალ.

არჩილი: მომისმინეთ, ორას ლარს დაგიმატებ.

გოგო: ფულის გამო არა. არ მინდა რომ მოვიტყუო.

არჩილი: კი მაგრამ სიმულაცია არ არის თქვენი პროფესია?

გოგო: ჯერ ეს ერთი პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ვარ.

არჩილი: რას ლაპარაკობთ?

გოგო: დიახ.

არჩილი: ნუ მეორე პროფესია.

გოგო: მე გენაცვალე ბოზი ვარ, მსახიობი კი არა.

არჩილი: დამიჯერე არ არის დიდი განსხვავება.

გოგო ფეხსაცმელს იღებს.

არჩილი: ძალიან გთხოვ არ დამტოვოთ. ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ?

გოგო: არ შემიძლია?

არჩილი: რატომ? რატომ?

გოგო: არ მინდა თქვენს ცოლთან ლაპარაკი?

არჩილი: გაჩუმდით მერე თქვენც, არ გასცე ხმა. ესე რთულია?

გოგო: რამე რომ მკითხოს?

არჩილი: არ უპასუხოთ.

პაუზა.

გოგო: არა.

არჩილი: მოიცა, მგონი მოვიდა.

გოგო: იცოდე ხმას არ ამოვიღებ.

არჩილი: მეც მაგას არ გთხოვ?

არჩილი გოგოს ფეხებზე ეხვევა. შემოდის ეკა. არჩილს გოგოს ფეხებს შორის აქვს გაყოფილი თავი.

არჩილი: რა ხდება?

ეკა: მე მეკითხები? მგონი მე უნდა ვიკითხო ეგ.

არჩილი: საყვარელთან ერთად ვარ რა.

ეკა: რა ნიშნავს ეს ყველაფერი?

არჩილი: კაი ახლა რას გაიკვირვე? ხომ გითხარი არა.

არჩილი ფეხზე დგება.

არჩილი: გაგაცნობთ ერთმანეთს. თორემ რაღაც უხერხულია. გაიცანი, ეს არის ნუკრი შენგელაია.

ეკა: რას აკეთებ ჩემს სახლში?

გოგო არ პასუხობს.

ეკა: შენ გელაპარაკები.

გოგო ისევ ჩუმად არის.

ეკა: არ გესმის?

გოგო კვლავ აგრძელებს დუმილს.

ეკა: ქართველი არ არის?

არჩილი: სუფთა სისხლის. კარენნოი თბილისელია.

ეკა: თვითონ ენა ჩაუვარდა?

არჩილი: შიშისგან.

ეკა: რა შიშისგან ენა ჩაგივარდა? გეკითხები და მითხარი.

არჩილი: არ ესმის. არა. როცა არ გესმის რა უნდა ილაპარაკო?

ეკა: რატომ არ ესმის?

არჩილი: ყრუა.

ეკა: ყრუა?

არჩილი: კი. ბავშვობიდან.

ეკა: ყრუ-მუნჯი საყვარელი გყავს?

არჩილი: ასე გამოვიდა.

ეკა: რა სისულელეა?

არჩილი: რა იყო ყრუსთან დაწოლას კანონი კრძალავს თუ?

ეკა გოგოს უყურებს.

ეკა (ხმას უწევს) მე არჩილის ცოლი ვარ. ცო-ლი!

არჩილი: რა გაყვირებს? გეუბნები ყრუათო და გააგონებ? აბსოლუტური... აზრი არა აქვს ყვირილს. თავის დროზე რაც მე ვიყვირე.

ეკა: როგორ კონტაქტობ?

არჩილი: არ ვკონტაქტობთ.

ეკა: აბა?

არჩილი: ნუ ასე ჟესტებით ერთ-ორ წინადადებას თუ ვეტყვი. ნიშნებს ვაძლევ.

ეკა: რა ნიშნებს?

არჩილი: აი, ასე. მაგალითად. გშია? ვეკითხები. გცივა?

არჩილი პირისკენ მიმართავს თითს. შეციებას განასახირებს.

ეკა: მე ცოლი ვარ! ცოლი!

ეკა ცერა თითსა და საჩვენებელი თითის შექმნილ რგოლში მეორე საჩვენებელ თითს უყრის.

არჩილი: (ჟეტებით ხატავს თავისი ცოლის სიუჟეტს) ცოლია ეს ჩემი, ცოლი! გითხარი მე შენ.

გოგო თავს უქნევს.

არჩილი: გამარჯობაო.

ეკა: თქვენ ვინ ხართ?

ახალგაზრდა გოგო თავს უარყოფის ნიშნად იქნევს.

ეკა: გადაუთარგმნე მიდი.

არჩილი: სად ვიცი მაგდენი.

ეკა: გადაუთარგმნე-მეთქი.

არჩილი: შევეცდები...

ეკა: სად შეხვდი ჩემს ქმარს? სად? შე-ხვდი?

გოგო დაბნეული თვალებს აცეცებს. არ იცის რა ქნას.

ეკა: ჰკითხე.

არჩილი: (ჟესტებით) სად შევხვდით?

გოგო გაუგებარ ჟესტს აკეთებს.

არჩილი: შეკითხვა გაიგო.

ეკა: და რაო?

არჩილი: არ ახსოვს.

ეკა: არა? შენ?

არჩილი: რა მე?

ეკა: შენ არ გახსოვს?

არჩილი: მახსოვს...

ეკა: სად?

არჩილი: მთლად კარგად არა მახსოვს...

ეკა: სად?

არჩილი: ბოულინგ ცენტრში!

ეკა: ბოულინგს თამაშობ?

არჩილი: ხანდახან ვაგორებ რა.

ეკა: როდის მერე?

არჩილი: ნუ რა ვიცი.

ეკა: მე მეგონა რომ ფეხბურთი გიყვარდა.

არჩილი: ერთი პრინციპია რა. იქაც ბურთს აგორებ და აქაც.

ეკა: არ მტოვებს განცდა რომ ეს ბოლო პერიოდია

არჩილი: რა ბოლო პერიოდია.

ეკა: რომ დამცინი.

არჩილი: დაგცინი?

ეკა: სასტიკად.

არჩილი: ვინ? მე? შენ უბრალოდ არასოდეს არ მისმენ. არ გკიდია ფეხბურთი მომწონს თუ ბოულინგი?

ეკა: არ მკიდია.

არჩილი: როდის მერე?

გოგო წასვლას აპირებს.

ეკა: არ მჯერა ამ ისტორიის.

გოგო მიდის.

არჩილი: დაგირეკავ.

ეკა: დაურეკავ? აბა, ყრუაო?

არჩილი: მესიჯს ვგულისხმობდი.

გოგო სახლიდან გადის.

ეკა: ბოლო მომიღე. ეს გინდოდა?

არჩილი: მაპატიებ?

ეკა: რას გაპატიებ? რას რომ მთელი ეს წლები გეზიზღებოდა ჩემი სხეული? რომ მსუქან ძროხად მთვლიდი, რომელსაც მხოლოდ ბავშვების გაჩენა შეუძლია? თუ ის გაპატიო, რომ გეკიდა როგორ ვგრძნობდი თავს და ერთხელ, ერთხელაც არ გიკითხავს ბედნიერი ვარ თუ არა? თუ ის გაპატიო რომ სამსახურდან გვიან დაბრუნებული, რო დაეგდები და ღრიალებ, ცხელია საჭმელი? ეს გამირეცხე? თუ ჩემი წითელი ჰალსტუხი სად არის? თუ ის გაპატიო, რომ რომ მთელი ცხოვრება შენ გიყურებდი თვალებში? რა გაპატიო? რომელი ერთ?

არჩილი: ხომ დარწმუნდი რო გეი არ ვარ?

ეკა: არ მისმენდი ხომ?

არჩილი: არა, მე კი გისმენდი მაგრამ... შენ ხომ დარწმუნდი?

ეკა: პირიქით.

არჩილი: რა პირიქით?

ეკა: აბა, ის რა იყო?

არჩილი: რა?

ეკა: შიშვლები რო დამხვდით აქ. რა იყო?

არჩილი: არ ვიცი.

პაუზა.

არჩილი: ეკა!

ეკა: თავი დამანებე.

არჩილი ეკას ეხუტება. ეკა ქვითინებს.

ეკა: მგონი იმ ტიპმა გაგიჩალიჩა რა.

არჩილი: ვინ?

ეკა: მანიპულირებს შენით...

არჩილი: ნიკოზე ამბობ?

ეკა: ჰო, აბა, ვისზე ვიტყვი? აი, რო შეხედავ, რა სიფათი აქვს...

არჩილი: ადვოკატია რა...

ეკა: ადვოკატი კი არა ფსიქოპატია. ავადმყოფია. ერთი იდეა მომივიდა.

არჩილი: გისმენ.

ეკა: იცი რა უნდა ქნა?

არჩილი: აბა?

ეკა ყურში ჩასჩურჩულებს.

არჩილი: არ არის ეგ საჭირო.

ეკა: უკეთესი იდეა გაქვს?

არჩილი და ეკა ერთმანეთს უყურებენ.

ბნელდება.

სცენა 3:

კარზე ზარია. არჩილი ხალათის ამარა დგას სასტუმრო ოთახში. კარს აღებს.

ნიკო: გამარჯობა.

არჩილი: შემოდი, ნიკო, შემოდი!

ნიკო ოთახში შედის.

ნიკო: უცნაურია.

არჩილი: რა არის უცნაური ნიკო?

ნიკო: ესე შემოსვლა ამ სახლში.

არჩილი: როგორ ნიკო?

ნიკო: რავი, კარით.

არჩილი: დაჯექით.

ნიკო ჯდება.

არჩილი: რაიმე დაგისხათ?

ნიკო: არა. იყოს.

არჩილი: ძალიან კარგი შამპანური მაქვს.

არჩილი ბოთლს გახსნის.

არჩილი: აბა....

ნიკო: გისმენთ.

არჩილი: რას მისმენ? მოდი, დავლიოთ რა! რა გამოვიარეთ და ერთმანეთს წესიერად არ ვიცნობთ.

ნიკო: ეგ მართალია. ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ აზრზე.

არჩილი: ცოლმა კინაღამ მიმატოვა. წარმოგიდგენია? ვერ გაიგო რა რა ხდებოდა აქ. ვერაფერიც ვერ გაიგო.

ნიკო: თქვენ გაიგეთ?

არჩილი: რა თქმა უნდა.

ნიკო: რა?

არჩილი: ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ნიკო.

ნიკო: ბატონო?

არჩილი: მინდა რომ ახლოს გაგიცნო.

ნიკო: ჰა?

არჩილი: მომიყევი რა შენზე. ვინ ხარ?

ნიკო: ვინ ვარ?

არჩილი: ხომ გყავს მამა, დედა, ძმა, და, ცოლი, შვილები?

ნიკო. მამა მომიკვდა ცოტა ხნის წინ.

არჩილი: ვიზიარებ. რამდენი წლის ხარ?

ნიკო: ორმოცის.

არჩილი: შენ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გაქვს. გადასარევი ასაკია. მერე როგორი ნიჭიერი ხარ, სიმპატიური.

ნიკო: კარგით ახლა.

არჩილი: მერე იცი რა მნიშვნელოვანია ჩვენი პროფესიაში გარეგნობა? ადვოკატების უმრავლესობას რომ შეხედავ შეგეშინდება. ღიპიანი საქონლები. ამიტომ არ უსმენენ პროცესზე. აბა, შენ კი...

ნიკო: ჰო, არა.

არჩილი: ისეთი პირდაპირი ხარ, გულწრფელი, იმიტომ რომ სასამართლოში საკუთარ თავს არ იცავ... და ეს თვალშისაცემია. შამპანური?

ნიკო: არა, გმადლობ.

არჩილი: მუსიკა რომ ჩავრთო წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

ნიკო: არა.

არჩილი დგება და რთავს მუსიკას. ისმის საცეკვაო ჰაგები.

არჩილი: ძალიან მიყვარს მუსიკა... სულ ვუსმენ... აბაზანაში... მანქანაში... ტრაქტორშიც კი!

პაუზა.

მეგობრები გყავთ?

ნიკო: რა თქმა უნდა.

არჩილი: ბევრი?

ნიკო: რა ვიცი რას ეძახით თქვენ ბევრს?

არჩილი: აი, მაინც რამდენი მეგობარი გყავს?

ნიკო: არ დამითვლია.

არჩილი: მიდი, დაითვალე მერე, არსად არ გვეჩქარება.

ნიკო: ალბათ ასე ათამდე.

არჩილი: ოუ. ნიკო, იცი, მეც მინდა რომ შენი მეგობარი ვიყო.

ნიკო: კი ბატონო.

არჩილი: მართლა? ანუ მეგობრები ვართ?

ნიკო: დიახ.

არჩილი: ვიცეკვოთ?

ნიკო: ბოდიში?

არჩილი: წინააღმდეგი ხომ არ იქნები რომ ვიცეკვო?

ნიკო: არა,

არჩილი: ვგიჟდები ცეკვაზე.

არჩილი ცეკვას იწყებს.

არჩილი: ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? ხომ მართალია?

ნიკო: დიახ.

არჩილი: მეგობრებში კი შეგიძლია აკეთო ყველაფერი რაც გიყვარს. ხომ მართალი ვარ?

პაუზა.

არჩილი: თქვენ არ გიყვართ ცეკვა?

ნიკო: არც ისე...

არჩილი: რატომ?

ნიკო: რა ვიცი... ხშირად არ ვხვდები საცეკვაო სიტუაციებში.

არჩილი: გინდა ვიცეკვოთ ერთად?

ნიკო: არა, იყოს.

არჩილი: მოდი, ნუ გრცხვენია.

ნიკო: არ მინდა, მართლა.

არჩილი: სასაცილო ვარ?

ნიკო: რას ამბობთ.

არჩილი: მიყვარს ცეკვა და ვცეკვავ. რა შეიძლება იყოს ამაზე ბუნებრივი? ცხოვრებაში უნდა აკეთო ის რაც გიყვარს.

ნიკო: რა თქმა უნდა.

არჩილი: ჰოდა, თუ რა თქმა უნდა, მოდი ვიცეკვოთ. ძალიან გამისწორდება ახლა შენთან ერთად ცეკვა.

ნიკო: მაგრამ მე არ მინდა ცეკვა.

არჩილი: ნიკო.

ნიკო: ძალიან გთხოვთ.

არჩილი ნიკოს ხელს კიდებს და აცეკვებს. ნიკოც აყვება.

არჩილი: ვაუ, რა კარგად ცეკცვა თურმე.

ნიკო: მართლა?

არჩილი: კი.

ნიკო: გმადლობ.

არჩილი: ხომ ხედავ რთული არ არის. დაწყებაა რთული თორემ. ხომ კარგად გრძნობ თავს.

არჩილი და ნიკო ცეკვავენ. არჩილი ნიკოს უახლოვდება.

არჩილი: მიყვარხარ, ნიკო.

ნიკო: ბატონო?

არჩილი: მიყვარხარ.

არჩილი ცდილობს რომ აკოცოს ნიკოს. ნიკო ხელს კრავს.

არჩილი: მაპატიე.

ნიკო მუსიკას გამორთავს.

არჩილი: ჩემმა ცოლმა მაიძულა, რომ...

ნიკო: რა გაიძულა?

არჩილი: გეფიცები...

ნიკო: გეყოფა რა!

არჩილი: მართლა ეკამ მაიძულა, ჰგონია რომ ეს შენ გამიჩალიჩე...

პაუზა.

ნიკო: ახლა ყველაფერი მესმის.

არჩილი: რა გესმის?

ნიკო: რომ ამ ყველაფრის უკან თქვენ დგახართ. ეს თქვენ ჩამიყარეთ რაღაც!

არჩილი: რა ჩაგიყარე?

ნიკო: გარყვნილი ტიპი ხარ. ვინ იცის რას მიშვებოდი გათიშულს.

არჩილი: არაფერსაც არ გიშვებოდი.

ნიკო: მიყურებდი?

არჩილი: გიყურებდი არა ის.

ნიკო: გამაშიშვლე და მიყურებდი.

არჩილი: გეუბნები, რომ ჩემმა ცოლმა მითხრა...

ნიკო: ცოლმა, დავიჯერე კი.

ნიკო კარისკენ მიდის.

არჩილი: ნიკო ხომ არავის ეტყვი?

ნიკო არ პასუხობს.

არჩილი: ამ ამბავს ხომ არავის მოუყვები?

ნიკო: ჩემს წილს მომცემ.

არჩილი: კარგი.

ნიკო: და ზემოდან ოცდაათი პროცენტი კიდევ.

არჩილი: ცოტა ბევრი ხომ არ არის?

ნიკო: ბევრია?

არჩილი: კარგი.

ნიკო: და ხვალ ოფისში მოვალ ჩემი ნივთების წასაღებად და თუ სადმე გადამეყარე, თავ-პირს დაგამტვრევ.

ნიკო მიდის. არჩილი მარტო რჩება ოთახში. მუსიკას რთავს. დივანზე ჯდება. იატაკს აშტერდება. სახეს ხელებში ჩარგავს. მობილური რეკავს. არჩილი ეკრანს დახედავს, თუმცა ვერ ხვდება ვინ შეიძლება იყოს.

არჩილი: გისმენთ. გმადლობ, თავად? უკაცრავად, ვერ გიცანით. ა, ნუკრი თქვენ ხართ? იცი მეხსიერებასთან პრობლემები მაქვს. სერიოზული. რაღაც სიტუაციაში ვხვდები და არ მახსოვს როგორ მოვხვდი. არ მახსოვს რას ვაკეთებდი. არა, არ ვხუმრობ. ნუ თუ არ გჯერათ ახლა. ამნეზია? გარკვეულწილად. ანუ რაღაცები მახსოვს, რაღაცები არა. ვინ ხარ შენ? მეგობარი? კარგი მეგობრები? ძალიან კარგი? და რას ვაკეთებთ ხოლმე როცა ვხვდებით. კარგი, გასაგებია...

პაუზა.

და დიდი ხანია რაც მე და შენ... ერთა... რამდენიმე თვე? დარწმუნებული ხარ? კარგი. კარგი, უნდა წავიდე. სად? არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. მეც ნუკრი, მეც გკოცნი.

ყურმილს კიდებს. ზომბივით მოძრაობს. პირდაპირ იატაკზე ჯდება. შემოდის ეკა. ის არჩილს ვერ ხედავს. ჩანთას მაგიდაზე დებს. ხედავს შამპანურს მაგიდაზე. მაგიდასთან მიდის და ამჩნევს არჩილს.

ეკა: რას შვები?

არჩილი: ვზივარ.

ეკა: იატაკზე?

არჩილი: ჰო.

ეკა: და დივანზე რატომ არ ჯდები?

არჩილი: ოცი წელია ამ დივანზე ვზივარ... დრო მოვიდა რომ შევცვალო რაღაც. მინდა სხვა რამეზე დავჯდე ახლა.

ეკა დივანზე ჯდება. არჩილი მას ვერ ხედავს.

ეკა: მაგრამ დივანზე ჯდომა უფრო კომფორტულია.

არჩილი: შეიძლება, მაგრამ მე მინდა ცვლილებები. ახალი ადგილია. მერე იყოს მაგარი, არაკომფორტული... მერე რა.

პაუზა.

ეკა: მოდი, არჩილ ჩემთან. მიდი, ადექი.

არჩილი: მოვალ.

პაუზა.

ეკა: ნიკო იყო მოსული?

არჩილი: კი.

ეკა: მერე?

არჩილი: მართალი იყავი. ის არის.

ეკა: გამოტყდა?

არჩილი: აჰა.

ეკა: როგორ შემოსულა ჩვენთან სახლში? რამე ჩაგიყარა?

არჩილი: არ აუხსნია, მაგრამ ალბათ კი ჩამიყარა.

ეკა: კიდევ კარგი ციანიდი არ ჩაგიყარა.

არჩილი: აბა, კაცო.

ეკა: ე.ი. გამოტყდა.

არჩილი: კი.

ეკა: სამსახურიდან გაუშვი?

არჩილი: რა თქმა უნდა. მის წილს ვიყიდი.

ეკა: ყველაფერი დამთავრდა.

არჩილი: კი.

ეკა: არ მჯერა.

არჩილი: დამთავრდა.

ეკა: მაპატიე.

არჩილი: რისთვის?

ეკა: ძალიან სასტიკი ვიყავი.

პაუზა.

არ გისმენდი. ალბათ მეგონა რომ მატყუებდი. არ მესმოდა შენი. არც კი მიცდია. გეი რომ იყო კიდევ ჰო, მაგრამ ტყუილს ვერ მოვითმენ. ვერ ავიტან. გესმის?

პაუზა.

ხომ აღარ მომატყუებ?

არჩილი: არა.

ეკა: მოდი რა ჩემთან.

არჩილი დგება. მიდის და ეკას გვერდით ჯდება დივანზე. ეკა თავს ადებს.

ეკა: მიყვარხარ!

არჩილი: მეც მიყვარხარ!

ეკა დგება და საძინებლისკენ მიდის.

ეკა: წამოდი, დავწვეთ.

არჩილი: მოვდივარ.

ეკა გადის. არჩილი მარტო რჩება ოთახში.

დასასრული.